



ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი
THE LEVAN MIKELADZE FOUNDATION

კონფლიქტის გრანსფორმაცია
ქართულ-აფხაზურ და
ქართულ-ოსურ კონფაქსებში:
ილიდან ქვედაბაღდადამდე

ნათია ჭანკვეჭიანი

მარტი 2020



**National Endowment
for Democracy**

Supporting freedom around the world

ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი

**კონფლიქტის ტრანსფორმაცია
ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონტაქტში:
იდეიდან ქმედებად**

ნათია ჭანკვეთაძე

**თბილისი
მარტი 2020**

წინამდებარე კვლევა განხორციელდა „ეროვნული ფონდის დემოკრატიისთვის“ მიერ მხარდაჭერილი პროექტის „კონფლიქტის ტრანსფორმაციის ხელშეწყობა“ ფარგლებში.

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ლევან მიქელაძის სახელობის ფონდს და შეიძლება არ ასახავდეს „ეროვნული ფონდის დემოკრატიისთვის“ თვალსაზრისს.

რედაქტორი: არჩილ გეგეშიძე

დიზაინი/დაკაბადონება: გელა ბაბაკიშვილი

ლევან მიქელაძის სახელობის ფონდის შესახებ

ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი დაფუძნდა 2010 წელს. იგი წარმოადგენს საჯარო პოლიტიკის საკითხებზე მომუშავე არამომგებიან, პოლიტიკურად ნეიტრალურ, არასამთავრობო ორგანიზაციას.

ფონდის მიმდინარე პროგრამებს შორის საქართველოში არსებული კონფლიქტების ტრანსფორმაციის ხელშეწყობის მიმართულება ერთ-ერთი პრიორიტეტულია. ამ მიზნით ტარდება ძირითადი დაინტერესებული მხარეების (მათ შორის აფხაზეთის ტერიტორიაზე) გამოკითხვა, ხორციელდება მოუგვარებელი კონფლიქტის კონტექსტში მტკიცებულებათა ინვენტარიზაცია და მათი გავლენის შეფასება საქართველოს სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაზე, ხდება საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საქართველოს საექსპერტო საზოგადოებასთან ჩართულობა. ფონდის ეგიდით მიმდინარეობს კონფლიქტის ტრანსფორმაციისადმი საქართველოს ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარედ მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლა. ფონდი ასევე აქტიურად მონაწილეობს საქართველოში გაეროს მისიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, რომელიც სამშვიდობო პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

ავტორის შესახებ

ნათია ქანკვეტაძე მუშაობს კონფლიქტების ანალიზის, ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის მიმართულებით. მას აქვს კვლევებსა და ანალიტიკურ სტატიებზე მუშაობის გამოცდილება როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში, მათ შორის ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტსა და PMC-ის კვლევით ცენტრთან. ნათია 2017 წლიდან ასწავლის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანს „მშვიდობის პოლიტიკის ანალიზი.“ მას ასევე აქვს კონსულტაციების განევის, ტრენინგებისა და ლექცია-სემინარების ჩატარების რამდენიმეწლიანი გამოცდილება მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტების ტრანსფორმაციის მიმართულებით. იგი ასევე მუშაობდა მშვიდობის მშენებლობისა და ნდობის აღდგენის პროგრამის ხელმძღვანელად არასამთავრობო ორგანიზაციაში “საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი - აფხაზეთი.“ ნათია ფლობს მაგისტრის ხარისხს მშვიდობისა და კონფლიქტების კვლევის მიმართულებით მანჩესტერის უნივერსიტეტიდან. იგი ასევე მუშაობდა იენას უნივერსიტეტში პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტში მიწვეულ მკვლევარად.

© 2020 ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი

ISBN 978-9941-8-2213-1

სარჩევი

წინასიტყვაობა.....	4
შესავალი.....	6
კონფლიქტის ტრანსფორმაცია თეორიასა და პრაქტიკაში	8
კონფლიქტის ტრანსფორმაცია ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონტექსტში.....	10
მოუგვაჩებელი კონფლიქტების გავდენა ქაჩთუდ, აფხაზუხ და ოსუხ საზოგადოებებზე	10
კონფლიქტის ტრანსფორმაცია ქაჩთუდ-აფხაზუხ და ქაჩთუდ-ოსუხ კონტექსტში.....	12
კონფლიქტის ტრანსფორმაციის განმარტება.....	12
კონფლიქტის ტრანსფორმაციის თანმხლები საფრტხეები.....	14
კონფლიქტის ტრანსფორმაციის რესურსი	16
კონფლიქტის ტრანსფორმაციისტვის მზაობა.....	17
კონფლიქტის ტრანსფორმაციისკენ სანყისი ნაბიჯების განსაზღვრა.....	18
კვლევის შეჯამება და რეკომენდაციები.....	21
დანართი 1. ინფორმაცია ქართველი და აფზახი რექსპონდენტებისა და ექსპერტების შესახებ.....	24
დანართი 2. ცხრილი: აფზახი რექსპონდენტების მოლოდინი ტრანსფორმაციის პროცესთან მიმართებით.....	25

წინასიტყვაობა

2008 წელს საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა ისედაც პრობლემური ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები გეოპოლიტიკური პროცესის მძევალი გახადა და ისეთ მარნუხებში მოაქცია, რომ ერთიორად გაართულა გათიშულ საზოგადოებებს შორის ჩატეხილი ხიდების აღდგენა. შედეგად, სახეზეა ვითარება, როდესაც ხსენებული ურთიერთობები უპრეცედენტოდ დაბალ ნიშნულზეა დასული. ამ ურთიერთობებს ზოგი კონფლიქტურს, ზოგი კონფრონტაციულს და ზოგიც კრიზისულს უწოდებს. არსი ერთია - დავინწყებას მიეცა თუკი რამ დადებითი აკავშირებდა ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს მრავალსაუკუნოვანი სოციალური ისტორიის მანძილზე. ამავდროულად, პრაქტიკულად გამქრალია ნდობა, მტკიცედ ნარჩუნდება ქართველის როგორც მტრის ხატი, გამყოფი ხაზების ორივე მხარეს კი ერთმანეთისადმი გაუცხოებული თაობები იზრდება. ასეთ ფონზე, უნაყოფო ჩანს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების მრავალწლიანი ძალისხმევა, რომელიც მედიაციასა და ნდობის აღდგენაზეა ორიენტირებული. ასევე, შედეგს ვერ აღწევს საქართველოს მთავრობის ძვირადღირებული სამშვიდობო ინიციატივები.

ეჭვს არ იწვევს, რომ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების გრძელვადიანი პერსპექტივის თვალსაზრისით, აუცილებელია შექმნილი არახელსაყრელი კონტექსტის იმგვარი ცვლილება, რომელიც შესაძლებელს გახდის რაიმე სახის კონსტრუქციული პროცესის დაწყებას. ამას ორი გარემოება განაპირობებს. პირველი გარემოება უკავშირდება იმ საფასურს, რასაც ქართველები, აფხაზები და ოსები ყოველდღიურად იხდიან - მოუგვარებელი კონფლიქტები ხომ მთელ რიგ ჰუმანიტარულ, ადამიანის უსაფრთხოებისა და უფლებების დაცვის პრობლემებსაც წარმოშობს, ისევე როგორც, ხელს უშლის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. საქართველოს შემთხვევაში, გაჭიანურებული კონფლიქტები ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ ინტერესებსაც გვარიანად აზიანებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივია, რომ დაპირისპირებულ მხარეებს ხსენებული საფასურის ტვირთის შემსუბუქების მიზნით არსებული კონტექსტის პოზიტიური მიმართულებით ცვლილებები სურდეთ. მეორე, საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ დაპირისპირებულ მხარეებს შორის მთავარ პოლიტიკურ საკითხებზე შეუთანხმებლობის პირობებშიც კი შესაძლებელია ხსენებული კონსტრუქციული პროცესის წარმართვა და ურთიერთობების უფრო ცივილიზებულ დონეზე აყვანა. თუმცა, შორს რომ არ წავიდე, თავად ქართულ-ოსური ურთიერთობებია ამის თვალსაჩინო მაგალითი: 2000-იანი წლების დასაწყისში ძველი ურთიერთობები უკვე აღდგენილი იყო - დაწყებული იყო ქართველი და ოსი ეროვნების დევნილების მშობლიურ კერაში დაბრუნება, არ იზღუდებოდა ეთნიკური ნიშნით გადაადგილება, იქმნებოდა შერეული ოჯახები, ქართველები და ოსები წარმატებით ვაჭრობდნენ და ერთობლივ ბიზნესსაც აწარმოებდნენ. დღეს ეს ურთიერთობები აღარ არსებობს და თავიდან არის აღსადგენი. მაგრამ აქვე ისმის კითხვა: შესაძლებელია ეს დღევანდელ რეალობაში?

მოცემულ კითხვაზე პასუხის გაცემა არ არის იოლი. საქმე იმაშია, რომ ზემოხსენებული კონსტრუქციული პროცესი, რამაც თავის დროზე დაპირისპირებულ მხარეებს შორის ურთიერთობების პოზიტიური ტრანსფორმაცია განაპირობა, სპონტანური იყო. იგი არ ყოფილა რაიმე სახის მიზანმიმართული პოლიტიკური პროცესი. ისე მოხდა, რომ თავად კონტექსტმა ბუნებრივად შექმნა ურთიერთობების გაუმჯობესების შესაძლებლობა. დღევანდელი რეალობა კი, მისი სიხისტიდან გამომდინარე, მიზანმიმართულ ინტერვენციას მოითხოვს. შესაბამისად, კონფლიქტების ტრანსფორმაცია სწორედაც რომ წინასწარ შემუშავებულ საერთო ხედვაზე დაფუძნებული სამშვიდობო პოლიტიკური პროცესი უნდა იყოს. ამგვარი პოლიტიკის შემუშავების გამოცდილება კი არ არსებობს. არადა, არსებუ-

ლი ვითარების სირთულისა და დელიკატურობის გამო ნებისმიერმა დაუფიქრებელმა და დროში გაუთვლელმა გადაწყვეტილებამ, რაც არ უნდა კეთილშობილური მიზნებით იყოს ნაკარნახევი, შესაძლოა დასაბამშივე ჩაშალოს პროცესი. შესაბამისად, ნიადაგია შესამზადებელი, რაც, უპირველეს ყოვლისა, უამრავი საკითხის წინასწარ გარკვევას, გამოკვლევას, შესწავლასა და დადგენას გულისხმობს. ამას სათანადო საექსპერტო დისკუსიები და კვლევები სჭირდება. ეს ეხება როგორც ქართული, აფხაზური და ოსური საზოგადოებების მზაობას ცვლილებებისადმი, ისე საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობას, რუსეთის ფაქტორსა და ოფიციალური თბილისის, სოხუმისა და ცხინვალის პოლიტიკურ ნებას.

ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი თავისი კომპეტენციის ფარგლებში მზად არის მოკრძალებული წვლილი შეიტანოს ყველა იმ საკითხის გარკვევასა თუ დამუშავებაში, რაც ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების პოზიტიურ ტრანსფორმაციას შეუწყობს ხელს. ამ მიზნით, იგი ახორციელებს პროექტებს, რომლის ფარგლებშიც ტარდება კვლევები, საექსპერტო დისკუსიები და საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები. მოხარული ვართ, რომ აშშ-ის „ეროვნული ფონდის დემოკრატიისათვის“ ფინანსური მხარდაჭერით შესაძლებლობა გვეძლევა დაინტერესებული მკითხველის სამსჯავროზე გამოვიტანოთ ერთ-ერთი ამგვარი პროექტის ფარგლებში შესრულებული კვლევა - „კონფლიქტის ტრანსფორმაცია ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონტექსტში: იდეიდან ქმედებამდე.“ კვლევის მიზანი ქართული მხარის მზაობის შეფასებაა იმ ცვლილებებისადმი, რამაც ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები თვისებრივად უნდა გააუმჯობესოს. მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე კვლევა თავისი მიზნებითა და ამოცანებით პირველი მცდელობაა, კომპლექსურად გაიაზროს სასურველი კონსტრუქციული პროცესი და გამოავლინოს საწყისი ნაბიჯები არსებული ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონტექსტის რეალური ცვლილების მიმართულებით, იგი, ბუნებრივია, უნაკლო არ არის და ვერ ამოწურავს საკითხის შესწავლის დღის წესრიგს. ჩვენს მისიას შესრულებულად მივიჩნევთ, თუკი კვლევაში მოცემული ანალიზი, დასკვნები და რეკომენდაციები ხელს შეუწყობს ქართულ საზოგადოებასა და პროფესიულ წრეებში ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების ტრანსფორმაციის შესახებ დისკუსიისა და კვლევითი საქმიანობის გააქტიურებას და, რაც მთავარია, შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებას. ასევე ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე კვლევა სტიმულს მისცემს მოცემულ საკითხზე მუშაობის დაწყებას აფხაზურ და ოსურ საზოგადოებასა და პროფესიულ წრეებშიც.

არჩილ გეგეშიძე

შესავალი

საქართველოში არსებული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები დღემდე ქვეყნის უსაფრთხოების, სტაბილურობისა და განვითარების ერთ-ერთი ხელშემშლელი ფაქტორია. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები წლებია ჩიხშია შესული. სუსტდება სოციალური კავშირები, ღრმავდება გაუცხოება, განსაკუთრებით კონფლიქტების შემდგომ გაზრდილ თაობებს შორის. მოუგვარებელი კონფლიქტების შედეგია მძიმე ჰუმანიტარული, სოციალურ-ეკონომიკური პირობები, რომელიც კონფლიქტებით დაზარალებული ადამიანების დიდი ნაწილისთვის ყოველდღიური ცხოვრების გამონწვევად რჩება. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების დღევანდელი ხასიათი სხვა პრობლემებთან ერთად ქვეყნის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია-საც აბრკოლებს.

კონფლიქტების მოგვარების გაჭიანურებული პროცესების პარალელურად, აქტიურად საუბრობენ კონფლიქტის ტრანსფორმაციის მეთოდების პრაქტიკაში დანერგვის შესაძლებლობის შესახებ. ამასთან, ცდილობენ გაარკვიონ, რას გულისხმობს კონფლიქტის ტრანსფორმაცია და რამდენად ეფექტურ ხედვასა და მიდგომებს გვთავაზობს იგი. გამომდინარე იქიდან, რომ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ყოვლისმომცველი მოგვარება კომპლექსური, მრავალგანზომილებიანი და გაჭიანურებული პროცესია, მნიშვნელოვანია კონფლიქტის ტრანსფორმაციის, როგორც სავარაუდოდ უფრო პრაგმატული პარადიგმის, გამოკვლევა. აღნიშნულ კონტექსტში წინამდებარე კვლევის მიზანია ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონტექსტში კონფლიქტის ტრანსფორმაციის იდეის აღქმის შესწავლა, ასევე მისი მიზანშეწონილობისა და რეალურობის შეფასება.

ნაშრომში გამოყენებულია **თვისებრივი კვლევის** მეთოდოლოგიური ჩარჩო. კერძოდ, *სამაგიდე კვლევა*, *ნახევხად სტრუქტურული ინტერვიუები* და *სტრუქტურული ინტერვიუები* და *სტრუქტურული კითხვები*. სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა 21 ქართველ რესპონდენტთან. სტრუქტურირებული კითხვარი კი შეავსო აფხაზეთში მცხოვრებმა 23 რესპონდენტმა.¹ ამ უკანასკნელი სავლელე კვლევის ორგანიზებაში მონაწილეობა მიიღო ქ. გალში განთავსებულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „დემოკრატიის ინსტიტუტი.“ გარდა ამისა, ჩატარდა სამი დისკუსია ზუგდიდში, გორსა და წეროვანში. დისკუსიებს დაესწრნენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, მუნიციპალიტეტების, უნივერსიტეტის წარმომადგენლები და საკითხით დაინტერესებული სხვადასხვა პროფესიის მოქალაქეები. დისკუსიების ფარგლებში ძირითადად განხილულ იქნა ის, თუ როგორ აღიქვამენ კონფლიქტის ტრანსფორმაციის იდეას კონფლიქტით დაზარალებული რეგიონების მაცხოვრებლები. ასევე გაიმართა ვიდეოკონფერენცია კონფლიქტზე მომუშავე ხუთი ქართველი და სამი აფხაზი ექსპერტის მონაწილეობით. ვიდეოკონფერენციის ფარგლებში შეფასდა კონფლიქტის ტრანსფორმაციის იდეის საჭიროება და მიზანშეწონილობა, ასევე ქართული და აფხაზური საზოგადოებების მზაობა ამ იდეის მიმღებლობის თვალსაზრისით. გარდა ამისა, კონფლიქტის ტრანსფორმაციის შესახებ მომზადდა ორი ანალიტიკური მოკვლევა აფხაზი და ოსი ავტორების მიერ, სადაც მოცემულია ექსპერტული ხედვა საკვლევ საკითხზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ, ავტორთა გადანწყვეტილებით, მათი ვინაობა არ საჯაროვდება. და ბოლოს, კვლევის შუალედური შედეგები გაუზიარდა საქართველოში კონფლიქტების თემაზე მომუშავე სამთავრობო უწყებების, საექსპერტო წრეებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ყველა ხსენებული ფორმატიდან მიღებული უკუკავშირი აისახა კვლევის საბოლოო დოკუმენტში. კერძოდ, შეგროვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გაანალიზდა, როგორ ესმით ცალკეულ საზოგადოებებში კონ-

¹ დამატებითი ინფორმაციისთვის კვლევის რესპონდენტების შესახებ იხილეთ დანართი 1.

ფლიქტის ტრანსფორმაციის იდეა, რა საფრთხეებთან ასოცირდება კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე მუშაობა, რა რესურსი და პრაქტიკული ნაბიჯები სჭირდება ტრანსფორმაციის იდეის ქმედებად გარდასახვას.

აღსანიშნავია სამი **შეზღუდვა**, რომელიც კვლევის პროცესს თან ახლდა. პირველი, აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩატარებული სავლე კვლევისას მხოლოდ 23 რესპონდენტის მობილიზება მოხერხდა, რაც მთელი აფხაზეთის საზოგადოების აზრს ადეკვატურად ვერ ასახავს. მიუხედავად ამისა, მოცემული კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მკითხველისთვის საინტერესოდ მივიჩინეთ მათი პასუხების ანალიზში გათვალისწინება. მეორე, ბოლო პერიოდში თბილისსა და ცხინვალს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობის,² ასევე, ცხინვალში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობის შეზღუდვის გამო³ ვერ მოხერხდა ოსი რესპონდენტების მობილიზება. შესაბამისად, დოკუმენტი ძირითადად ქართულ-აფხაზურ კონტექსტს განიხილავს, თუმცა ითვალისწინებს ოსი ექსპერტის მიერ გაზიარებულ ხედვას ქართულ-ოსური კონფლიქტისა და ურთიერთობის ტრანსფორმაციის შესახებ.⁴ მესამე, კვლევა არ ეხება ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ქართულ-რუსულ განზომილებას, თუმცა ყურადღებას ამახვილებს რუსეთის შესაძლო როლსა და გავლენაზე მათი ტრანსფორმაციის პროცესში.

კვლევა სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება: პირველი, თეორიული ნაწილი, მოიცავს კონფლიქტის ტრანსფორმაციის კონცეპტუალური ჩარჩოს მიმოხილვას. მეორე, ძირითადი ნაწილი, ეთმობა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ტრანსფორმაციის შესახებ დისკუსიას და მესამე, შემაჯამებელ ნაწილში, მოცემულია დასკვნა და საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის, ასევე საქართველოში მომუშავე არასამთავრობო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის შემუშავებული რეკომენდაციები.

² „ევროკავშირის განცხადება ცხინვალის საოკუპაციო ხაზთან „დაძაბულობის ზრდის“ შესახებ“ (2019), Civil Georgia. იხილეთ აქ: <https://civil.ge/ka/archives/325885>; „ცხინვალის თბილისის „კრიზისის პროვოცირებაში“ ადანაშაულებს და გამშვებ პუნქტებს კეტავს“ (2019). Civil Georgia. იხილეთ აქ: <https://civil.ge/ka/archives/319748>;

³ „Другого медиа-центра уже 10 лет нет“ (2020). Эхо Кавказа. იხილეთ აქ: <https://www.echokavkaza.com/a/30464675.html>

⁴ „კონფლიქტის ტრანსფორმაციის შესახებ - ხედვა სამხრეთი ოსეთიდან“ (2020). პროექტის ფარგლებში შესრულებული ანალიტიკური მოკვლევა (რუსულ ენაზე);

კონფლიქტის ტრანსფორმაცია თეორიასა და პრაქტიკაში

კონფლიქტის ტრანსფორმაცია შედარებით ახალი პარადიგმაა. იგი კონფლიქტის მართვისა და მოგვარების მთელ რიგ მიდგომებს იზიარებს, თუმცა, მოუგვარებელი და გაჭიანურებული კონფლიქტების არსებობის პირობებში ეტაპობრივად თვითმყოფად კონცეფციადაც ყალიბდება. კონფლიქტის ტრანსფორმაციის არსი კონფლიქტში ჩართულ ადამიანებს/ჯგუფებს შორის ურთიერთობების იმგვარი ცვლილებაა, რომლის შედეგადაც მხარეებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთდამოკიდებულება ყალიბდება. რაც შეეხება კონფლიქტის მოგვარებას, იგი უფრო კომპლექსური პროცესია. მისი მიზანია კონფლიქტში ჩართულ მხარეებს შორის მოლაპარაკების, მედიაციისა და დიალოგის გზით დაპირისპირების შეჩერება და კონფლიქტში ჩართული ყველა მხარისთვის მისაღები პოლიტიკური გამოსავლის პოვნა. კონფლიქტის მოგვარების დროს ხდება ხელშეკრულების გაფორმება ან სხვა ფორმალური შეთანხმების მიღწევა. ამგვარად, კონფლიქტის მოგვარებისა და ტრანსფორმაციის ფოკუსი განსხვავებულია, რამდენადაც კონფლიქტის ტრანსფორმაციისას ყურადღება ექცევა არა კონფლიქტის პოლიტიკური შემადგენლის განხილვასა და გადანაცვების პოვნას, არამედ, კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების აღქმებისა და დამოკიდებულებების ცვლილებას, მათ შორის კონფლიქტში ჩართულ მეორე მხარესთან მიმართებით.⁵

როგორც უკვე აღინიშნა, კონფლიქტის მოგვარება უფრო შედეგზე (ყველასთვის მისაღები გამოსავლის პოვნაზე) ორიენტირებული მიდგომაა, რომელშიც ნამყვანი როლი გარე მედიატორებს, ფასილიტატორებს, მომლაპარაკებლებსა და საზოგადოების შიგნით საშუალო რგოლის ლიდერებს აქვთ. კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის საზოგადოების შიდა ვერტიკალის გააქტიურებაა მნიშვნელოვანი. კერძოდ, პროცესში აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული გადანაცვების მიმღები პირები (Track 1 დიალოგის ფორმატი), საშუალო დონისა (Track 2 დიალოგის ფორმატი) და ქვედა დონის (Track 3 დიალოგის ფორმატი) ლიდერები.

კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიზანი, როგორც აღინიშნა, სხვადასხვა დონეზე ცვლილების მიღწევაა. ეს ცვლილება საჭიროა როგორც ინდივიდუალურ, ისე ურთიერთობით დონეზე. უნდა შეიცვალოს ინდივიდების ღირებულებათა სისტემა და მათი აღქმა კონფლიქტთან მიმართებით.⁶ აუცილებელია კონფლიქტში ჩართულმა მხარეებმა ერთმანეთის ეთნიკური და ეროვნული მისწრაფებების დანახვა და აღიარება შეძლონ.⁷ კონფლიქტის ტრანსფორმაციისას ინდივიდუალურ და ურთიერთობით დონეზე ცვლილების მისაღწევად ოთხი საკითხია მნიშვნელოვანი: ესენია სიმართლე, პატიება, სამართლიანობა და მშვიდობა.⁸

კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის საზოგადოებაში სტრუქტურული ცვლილების მიღწევაც მნიშვნელოვანია. ამ თვალსაზრისით, საჭიროა შეფასდეს საზოგადოების შიგნით რა კონკრეტული სტრუქტურები მუშაობენ მშვიდობის მშენებლობის მიმართულებით, რამდენად მოქნილი და მდგრადია თითოეული სტრუქტურა.⁹ აღსანიშნავია, რომ ხშირად

⁵ Lederach, J.P. (1997). *Building peace : sustainable reconciliation in divided societies*. Washington, D.C: United States Institute of Peace Press. pp. 23-25

⁶ Mitchell, Ch. (2002) *Beyond Resolution: What Does Conflict Transformation Actually Transform?* Peace and Conflict Studies: Vol. 9 : No. 1 , Article 1. pp. 7-8

⁷ Kriesberg, L. (2011). The State of the Art in Conflict Transformation. In: Austin, B., Fischer, M., and Giessmann H.J. eds. *Advancing Conflict Transformation: The Berghof Handbook II*. Opladen & Farmington Hills. Barbara Budrich Publisher. pp. 50-62

⁸ Lederach, J.P., Op.Cit. pp.30-31

⁹ Paffenholz, Th. (2004). Designing Transformation and Intervention Processes. In: Austin, A., Fischer, M. and Ropers, N. eds. *Transforming Ethnopolitical Conflict: The Berghof Handbook*. Berlin, Germany: VS Verlag für Sozialwissenschaften, p.162

კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე მუშაობას როგორც განყენებულ პროცესს არ განიხილავენ და მას თავად საზოგადოების გარდაქმნასა და განვითარებასთან აკავშირებენ.¹⁰ კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე მუშაობა ინკლუზიური პროცესია, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალური სამართლიანობისა და კეთილდღეობის იდეასთან.¹¹ მაგალითად, ცვლილების/გარდაქმნის მისაღწევად, აუცილებელია როგორც კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების, ისე საზოგადოების სხვა მოწყვლადი თუ მარგინალიზებული ჯგუფების ჩართულობა. შესაბამისად, საჭიროა მათი გაძლიერება და სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრა.¹²

პოლიტიკურად მოუგვარებელი, მაგრამ მნიშვნელოვან ასპექტებში ტრანსფორმირებული კონფლიქტების მაგალითებიდან აღსანიშნავია კვიპროსისა და დნესტრისპირეთის შემთხვევები. მნიშვნელოვანია, რომ კვიპროსსა და დნესტრისპირეთში კონფლიქტებს ძალადობის ელემენტები აღარ ახასიათებთ, რეგიონები შედარებით ღიაა გარესამყაროსთვის და, მიუხედავად პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებით შეუთანხმებლობისა, მზაობა კომპრომისისთვის და ნდობა კონფლიქტში ჩართულ მხარეებს შორის გაცილებით მაღალია.¹³ გარდა ამისა, კვიპროსსა და დნესტრისპირეთში ევროკავშირი, როგორც მოდელი და ღირებულებათა სისტემა მისაღებია და რეგიონებში მეტი საერთაშორისო ორგანიზაციაა წარმოდგენილი.¹⁴ შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე რჩება რუსეთის ათასხუთასამდე სამხედრო მოსამსახურე,¹⁵ მოლდოვასა და დნესტრისპირეთის რეგიონს შორის გადაადგილება თავისუფალია. 2019 წლის მონაცემებით,¹⁶ დნესტრისპირეთი ევროკავშირ-მოლდოვას შორის არსებული ასოციაციების ხელშეკრულების ფარგლებში ვაჭრობს ევროკავშირის 20 წევრ ქვეყანასთან. რაც შეეხება კვიპროსს, მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში ჯერ კიდევ რჩება 35 ათასამდე თურქი სამხედრო მოსამსახურე, 2003 წელს ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული ნაწილის კვიპროსის რესპუბლიკასთან დასაკავშირებლად გაიხსნა ე.წ. მწვანე ხაზი, ბუფერული ზონა, რომელიც ხალხის გადაადგილების თავისუფლებას უზრუნველყოფს.¹⁷ გარდა ამისა, აქტიურად თანამშრომლობენ თურქული და ბერძნული სავაჭრო პალატები. ჩრდილოეთი კვიპროსი ღიაა ტურისტებისთვის და უმაღლესი განათლების მიღების მსურველი სტუდენტებისთვის. ბრიტანულმა ბანკმა HSBC თავისი ფილიალიც კი გახსნა ჩრდილოეთ კვიპროსში, რომელიც კვიპროსის რესპუბლიკის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიად არის

¹⁰ Bachler, G. (2004). Conflict Transformation through State Reform. In: Austin, A., Fischer, M. and Ropers, N. eds. *Transforming Ethnopolitical Conflict: The Berghof Handbook*. Berlin, Germany: VS Verlag für Sozialwissenschaften, p. 278

¹¹ Miall, H. (2004). Conflict Transformation: a multi-dimensional task. In: Austin, A., Fischer, M. and Ropers, N. eds. *Transforming Ethnopolitical Conflict: The Berghof Handbook*. Berlin, Germany: VS Verlag für Sozialwissenschaften, pp. 67-90.

¹² Bigdon, Ch., Korf, B. (2004). The Role of Development Aid in Conflict Transformation: Facilitating Empowerment Processes and Community Building. In: Austin, A., Fischer, M. and Ropers, N. eds. *Transforming Ethnopolitical Conflict: The Berghof Handbook*. Berlin, Germany: VS Verlag für Sozialwissenschaften, p. 349.

¹³ De Waal, T. (2018) Uncertain Ground: Engaging With Europe's De Facto States and Breakaway Territories. *Carnegie Europe*. იხილეთ აქ: <https://carnegieeurope.eu/2018/12/03/uncertain-ground-engaging-with-europe-s-de-facto-states-and-breakaway-territories-pub-77823>.

¹⁴ Ibid.

¹⁵ „Russian Military Games On Dniester Anger Moldova“ (2018), *Balkaninsight*. იხილეთ აქ: <https://balkaninsight.com/2018/08/15/russian-soldiers-forced-the-dniester-river-from-transnistria-08-15-2018/>

¹⁶ BIRN Fact-Check: Is Transnistria Really Economically Dependent on Russia? (2019). *Balkaninsight*. Accessed: 15 January, 2019. იხილეთ აქ: <https://balkaninsight.com/2019/12/23/birn-fact-check-is-transnistria-really-economically-dependent-on-russia/>

¹⁷ Mirimanova, N. (2015). Regulation of Trade Across Contested Borders: Case of China/Taiwan, Serbia/ Kosovo and Cyprus. *International Alert*. Accessed: 15 December, 2019, იხილეთ აქ: https://www.internationalalert.org/sites/default/files/Caucasus_RegulationOfTradeAcrossBorders_EN_2015.pdf

გამოცხადებული.¹⁸

კვიპროსსა და დნესტრისპირეთში ინდივიდუალურ, ურთიერთობით და სტრუქტურულ დონეზე იმგვარი ცვლილებების (ტრანსფორმაციის) მიღწევა მოხერხდა, რომელთა შედეგადაც, პოლიტიკურად მოუგვარებელი კონფლიქტების არსებობის პირობებშიც კი, მხარეებმა თანამშრომლობითი დღის წესრიგის შედგენა შეძლეს. შესაბამისად, ტრანსფორმირებული კონფლიქტების შემთხვევები ადასტურებენ, რომ კონფლიქტის ტრანსფორმაცია მოგვარების მიღმა იყურება¹⁹ და მისი მიზანი არ არის მხოლოდ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შორის ნდობის ჩამოყალიბება და კონფლიქტის პოლიტიკური ასპექტის გადაწყვეტა. ტრანსფორმაციის პროცესი შერიგებისკენ და სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფისკენ სვლიდა.

კონფლიქტის ტრანსფორმაცია ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონტექსტში

მოუგვარებელი კონფლიქტების გავლენა ქაჩთუდ, აფხაზუხ და ოსუხ საზოგადოებებზე

კონფლიქტით დაზარალებული სამივე საზოგადოება - ქართული, აფხაზური და ოსური, მოუგვარებელი კონფლიქტებით გამოწვეულ სირთულეებს როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე სტრატეგიულ დონეზე აწყდება. კვლევაში მონაწილე ქართველი რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მოუგვარებელი კონფლიქტები საქართველოს უსაფრთხოების, სტაბილურობისა და განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორია. არსებობს მონყვლადობისა და დაუსრულებლობის განცდა, „წაგებული კომპლექსი“, რომელიც განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორია.²⁰ აღსანიშნავია, რომ კონფლიქტების პირობებში ყოფნა ადამიანებს ცხოვრების წესად ექცათ²¹, შედეგად კი გაჩნდა გადაულახავი ტრავმა დაკარგული ტერიტორიებისა და იქიდან გამოდევნილი მოსახლეობის სახით.²² გარდა ამისა, რუსული სამხედრო ბაზების სიმრავლე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა ართულებს ადამიანის უფლებების დაცვას და წარმოქმნის მწვავე ჰუმანიტარული ხასიათის კრიზისებს.²³ რუსეთის გავლენა და მოუგვარებელი კონფლიქტების არსებობა ქვეყნის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში განვითარებისთვის მნიშვნელოვანი წინააღმდეგობაა²⁴ და სირთულეს უქმნის საქართველოს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკური კურსის გატარების მიმართულებით.²⁵ გარდა ამისა, აღსანიშნავია ეკონომიკური ზარალი, კერძოდ, ქვეყანა კარგავს როგორც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეკონომიკურ პოტენციალს, ასევე მოუგვარებელი კონფლიქტების არსებობა ქმნის უსაფრთხოების დეფიციტს და ქვეყანაში ინვესტიციების შემოსვლასაც აფერხებს.²⁶

რაც შეეხება აფხაზ რესპონდენტებს, ყველა (23-ვე რესპონდენტი) აღნიშნავს, რომ

¹⁸ De Waal, T., Op.Cit. p. 53

¹⁹ Mitchell, Ch., Op.Cit. p. 3

²⁰ ინტერვიუ #14, ინტერვიუ #7.

²¹ ინტერვიუ #19.

²² ინტერვიუ #20

²³ ინტერვიუ #09, ინტერვიუ #7, ინტერვიუ #06.

²⁴ ინტერვიუ #14, ინტერვიუ #2, ინტერვიუ #10, ინტერვიუ #15, ინტერვიუ #16.

²⁵ ინტერვიუ #09, ინტერვიუ #08.

²⁶ ინტერვიუ #12, ინტერვიუ #06, ინტერვიუ #09.

მოუგვარებელი კონფლიქტი სერიოზული გამოწვევაა როგორც ყოფით, ისე ეროვნულ დონეზე. აფხაზური საზოგადოებისთვის განსაკუთრებით მწვავე პრობლემებია: აფხაზეთის იზოლაცია გარესამყაროსგან (15), უსაფრთხოების არ არსებობის განცდა (13), რეგიონში ინვესტიციების სიმცირე/შებლუდულობა (11), რეგიონში შიდაეთნიკური ჰარმონიის არ არსებობა (9), კორუფცია და არაეფექტური მმართველობა (8), არასტაბილურობის განცდა (8), რეგიონიდან ახალგაზრდების გადინება (8), სოციალური პროგრამების სიმცირე (7), განათლებასა და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა (6), უმუშევრობის მაღალი დონე (5).²⁷

კიდევ უფრო რთული ვითარებაა სამხრეთ ოსეთში. რეგიონი სრულად დამოკიდებულია რუსეთზე, შეზღუდულია არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა და საერთაშორისო ორგანიზაციები, „წითელი ჯვრის“ გარდა, ფაქტობრივად არ დაიშვებიან.²⁸ რეგულარულად იკეტება გადასასვლელები, მათ შორის 2019 წლის სექტემბერში დაიხურა სინაგურისა და ოძისის გამშვები პუნქტები, რომლებიც ცხინვალის რეგიონს დანარჩენ საქართველოსთან აკავშირებს.²⁹ რთული ვითარებაა თავად ცხინვალში. დროდადრო, რეგიონში საქონლისა და პროდუქტების დეფიციტი იქმნება, რაც რუსეთის საბაჟოს მხრიდან საქონლის რეგისტრაციის პროცედურების გართულებით არის გამოწვეული.³⁰

გარდა საზოგადოებებს შიგნით არსებული გამოწვევებისა, მოუგვარებელმა კონფლიქტებმა გაართულა კონფლიქტით დაზარალებულ ადამიანებს შორის ურთიერთობა. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტი ეთნიკურ ნიადაგზე არსებული მიუღებლობის გამო არ დაწყებულა, მიზეზი ქართული, აფხაზური, ოსური და რუსული პოლიტიკური პროექტების შეჯახება იყო, შედეგად, კონფლიქტ(ებ)მა საზოგადოებები ერთმანეთს დააშორა.³¹ ომის გამოცდილებამ, რა თქმა უნდა, ადამიანები ერთმანეთისგან გააუცხოვა, ურთიერთობის გამოსწორების გააზრებული სტრატეგია კი არ ჩანს.³² მაგალითად, ქართულ-აფხაზურმა ურთიერთდამოკიდებულებამ და ერთმანეთის აღქმამ ასიმეტრიული ხასიათი მიიღო.³³ აფხაზეთისთვის ქართველი „მტრის ხატია“ მაშინ, როდესაც ქართველებს აფხაზების მიმართ აუცილებლად უარყოფითი დამოკიდებულება არ აქვთ. ისიც აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა თაობა აფხაზეთში იზრდება არა მომავლის პარადიგმით, არამედ მსხვერპლად ყოფნისა და მოგებული ომის იდეით.³⁴

მოუგვარებელი კონფლიქტ(ებ)ის არსებობით მნიშვნელოვნად ზარალდებიან ის ადამიანები, ვინც მოუგვარებელი კონფლიქტების საფასურს ყოველდღიურად იხდიან თავისუფალი გადაადგილების არ არსებობის, აგრეთვე განათლებასა და ჯანდაცვაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის გამო. შესაბამისად, ქართულ, აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებში კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიმართულებით აქტიურად მუშაობა არა უბრალოდ სასურველი, არამედ არსებულ გამოწვევებთან გამკლავების ლოგიკური გზაა.

²⁷ ფრჩხილებში მითითებული რიცხვი აღნიშნავს რესპონდენტთა იმ რაოდენობას, ვინც დაწერა/მონიშნა კონკრეტული საკითხი, როგორც მოუგვარებელი კონფლიქტის თანხმლები განსაკუთრებით მწვავე პრობლემა.

²⁸ Joint Statement of Human Right Organizations concerning pressing human rights conditions in South Ossetia, Georgia (2019) *Open Society Georgia Foundation*. იხილეთ აქ: <https://osgf.ge/en/the-joint-statement-of-human-rights-organizations-concerning-pressing-human-rights-conditions-in-south-ossetia-georgia/>

²⁹ „ჩორჩანა-წნელიის მოვლენებზე ერგნეთის შეხვედრა „არსებითი პროგრესის“ გარეშე დასრულდა“, *Civil Georgia*, 12.11.2019, იხილეთ აქ: <https://civil.ge/ka/archives/326070>

³⁰ „Грозит ли цхинвальцам продовольственный кризис?“ (2020), *Эхо Кавказа*. იხილეთ აქ: <https://www.ekhokavkaza.com/a/30427350.html>

³¹ ინტერვიუ #14, ინტერვიუ #20.

³² ინტერვიუ #07.

³³ ინტერვიუ #08.

³⁴ ინტერვიუ #17.

კონფლიქტის გხანსფორმაცია ქაჩთუდ-აფხაზუხ და ქაჩთუდ-ოსუხ კონტექსტში

კონფლიქტის ტრანსფორმაციის განმარტება

კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოგვარება როგორც ქართული, ისე აფხაზური და ოსური საზოგადოებისთვის დიდნილად დაკავშირებულია სტატუსის გადანყვეტის საკითხთან, რომელიც დასაწყისშივე ურთიერთსაინააღმდეგო პოზიციებს მოიცავს და მხარეებს „ნულოვანჯამიანი თამაშის“³⁵ პოზიციაში აყენებს. მაგალითად, „ქართველები ამბობენ - ყველაფერი აღიარების გარდა. აფხაზები პასუხობენ - არაფერი აღიარების გარეშე“.³⁶ თუმცა, კონფლიქტის პოლიტიკურად დარეგულირების საკითხს, გარდა მხარეების ხისტი პოზიციებისა, უკიდურესად ართულებს რუსეთის ფაქტორი. კერძოდ, იგულისხმება რუსული სამხედრო ბაზების სიმრავლე³⁷ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე და რეგიონების მზარდი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულება რუსეთზე.

გამომდინარე აქედან, კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირების იდეით მუშაობა ვერ აგვარებს კონფლიქტებს პოლიტიკური თვალსაზრისით და არ გვთავაზობს ურთიერთსაზიარო დღის წესრიგს კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. როგორც აღინიშნა, განსხვავებით კონფლიქტის მოგვარებისგან, ტრანსფორმაციაზე მუშაობის უპირველესი მიზანი ადამიანის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის მიღწევა და დამოკიდებულებების დადებითად გარდაქმნაა. შესაბამისად, კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე მუშაობისას რეალისტურია ურთიერთსაზიარო პრინციპებისა და დღის წესრიგის შემუშავება, რადგან მხარეებს არ მოეთხოვებათ სტრატეგიული მნიშვნელობისა და პოლიტიკურად მგრძობიარე საკითხების შესახებ კომპრომისზე წასვლა.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ კონფლიქტის ტრანსფორმაცია ქართულ, აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებში დაკავშირებულია ინდივიდების აღქმებისა და დამოკიდებულებების ცვლილებასთან, თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებასთან. აღინიშნა, რომ შესაძლოა სწორედ ტრანსფორმაციის იდეის შემოტანა იყოს ის ცვლილება, რომელიც საქართველოს პოსტ-საბჭოთა ქვეყნის ჩრდილიდან გამოიყვანს და მისი როგორც მოდერნული და პროგრესული ქვეყნის იმიჯს განამტკიცებს.³⁸

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები კომპლექსური, მრავალგანზომილებიანი და ერთმანეთისგან განსხვავებული შემთხვევებია, ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონტექსტში კონფლიქტის ტრანსფორმაციის განმარტება შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

პოდიტიკუხად გადაუჭიერი/მოუგვახებელი კონფლიქტ(ებ)ის ახსებობის პიხოებში კონფლიქტის გხანსფორმაცია აჩის ინდივიდუადუხ, უხთიეხთობით და სტუუქტუუდ დონეზე ცვლიებები ხოგოხც კონფლიქტით დაზაჩალებული ადამიანების უსაფხთხოებისა და კეთილდღეობის უზხუნვედყოფის, ისე კონფლიქტში ჩაჩთუდ მხაჩეებს შოჩის უხთიეხთდამოკიდებულების გაუმჯობესების მიმაჩთუდებით.

³⁵ ნულოვანჯამიანი თამაში - რასაც ერთი მხარე იგებს, იმას მეორე მხარე აგებს, და პირიქით.

³⁶ ინტერვიუ #08, დისკუსია ქ. ზუგდიდში, 19/07/2019.

³⁷ „Tbilisi Condemns Russian Military Drills in Abkhazia“ (2019). Civil Georgia, 24.04.2019, იხილეთ აქ: <https://civil.ge/archives/303263>

³⁸ ინტერვიუ #17.

განმარტებიდან გამომდინარე, კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე მუშაობა მოიცავს როგორც საზოგადოების (ქართულ, აფხაზურ, ოსურ) შიგნით განსახორციელებელ საქმიანობას, ასევე მხარეებს შორის ურთიერთქმედების დროს საჭირო ცვლილებებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, კონფლიქტის ტრანსფორმაცია ასევე გულისხმობს ცვლილებების მიღწევას ინდივიდუალურ, ურთიერთობით და სტრუქტურულ დონეებზე.

ინდივიდუალურ დონეზე ცვლილებების მისაღწევად საჭიროა საზოგადოებებს შიგნით მუშაობა. კერძოდ, კრიტიკულად გადასახედი, გასაანალიზებელი და შესაცვლელია *დამოკიდებულებები, დისკუსია და ინფორმაცია*, რომელსაც საზოგადოება იღებს კონფლიქტის და მასში ჩართული მეორე მხარის შესახებ.

ურთიერთობით დონეზე ცვლილებების მისაღწევად შესაფასებელია ყველა ის ფორმატი, რომლის ფარგლებშიც ქართველები, აფხაზები და ოსები ერთმანეთს ხვდებიან. შედეგად, კრიტიკულად გასაანალიზებელი და შესაფასებელია *ქცევა, ინტეგრაცია და საკითხები*, რომლებიც შეხვედრების დღის წესრიგში დგას.

სტრუქტურულ დონეზე ცვლილებების მისაღწევად შესაფასებელია ყველა ის სტრუქტურა, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება კონფლიქტების დარეგულირებას, მშვიდობის მშენებლობასა და დაპირისპირების ხასიათით გამომწვეული ზარალის შემსუბუქებას. შედეგად, კრიტიკულად გასაანალიზებელია და შესაცვლელია *გარკვეული პოლიტიკები/ლიბერტებები და სტრატეგია*, რომელსაც აღნიშნული სტრუქტურების საქმიანობა ეფუძნება.

ტრანსფორმაციის პროცესის მიზანი, ზემოთმოყვანილი განმარტების თანახმად, ორმხრივია: ერთი მხრივ, უზრუნველყოს კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების უსაფრთხოება და კეთილდღეობა და მეორე მხრივ, დადებითად გარდაქმნას კონფლიქტში ჩართულ მხარეებს შორის ურთიერთობა.

ნდობის აღდგენისა და მშვიდობის მშენებლობის ის პროგრამები და პროექტები, რომლებიც წლებია საქართველოში მიმდინარეობს, რა თქმა უნდა, ეხმარებოდა და ეხმარება კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესს. თუმცა აქ ორი საკითხია აღსანიშნავი: პირველი, რა სტრატეგიას ეფუძნება არსებული პროექტები/პროგრამები და რომელი აქტორები არიან მათ განხორციელებაში ჩართული?

რეალურად, საქართველოში არ არსებობს კონფლიქტისა და ურთიერთობის ტრანსფორმაციისა და მისი განხორციელების განერილი **ხედვა** და **სტრატეგია**. ასევე, ნდობის აღდგენისა და მშვიდობის მშენებლობის პროექტებში დიდწილად ჩართულია სამოქალაქო საზოგადოების/მეორე რგოლის (Track 2) ლიდერები. შედეგად, შიდა ვერტიკალი - მთავრობა/პოლიტიკური ლიდერები ⇒ სამოქალაქო საზოგადოება ⇒ ქვედა დონის ლიდერები/მოსახლეობა - არ მუშაობს აქტიურად და კოორდინირებულად. შესაბამისად, კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე მუშაობა თვისობრივად ახალი მიდგომა გახდება თუკი:

1. დაეფუძნება ხედვას და სტრატეგიას, რომელიც განსაზღვრავს **მიზნობრივი ტრანსფორმაციის** მიმართულებებს;
2. საზოგადოებრივი შიდა ვერტიკალი გააქტიურდება. **მიზნობრივი ტრანსფორმაციის** პროცესში ჩაერთვება როგორც პოლიტიკური ელიტა, ისე სამოქალაქო საზოგადოება და ქვედა დონის ლიდერები, თუმცა განსხვავებული სიხშირითა და როლით. მაგალითად, საქართველოს მთავრობის 2018 წლის ინიციატივა - „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“³⁹ რომელიც კონფლიქტის ტრანსფორმაციის პოლიტიკის მექანიზმია, ასევე უნდა ეფუძნებოდეს ურთიერთსაზიარო და ხანგრძლივადიან ხედვას მხარეებს შორის ურთიერთობების ტრანსფორმაციის შესახებ, რაც გაამარტივებს და უფრო ეფექტურს გახდის მის განხორციელებას.

³⁹ „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ (2018). საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივა გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის წახალისებისა და განათლების შესაძლებლობების გაზრდის შესახებ. იხილეთ აქ: <https://www.smr.gov.ge/ge/page/40/nabiji-uketesi-momavlisken>

კონფლიქტის ტრანსფორმაციის თანმხლები საფრთხეები

კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიმართულებით მუშაობა კომპლექსური და ხანგრძლივი პროცესია. თუმცა, სირთულე დაკავშირებულია ტრანსფორმაციასთან ასოცირებულ იმ **საფრთხეებთანაც**, რასაც ქართული, აფხაზური და ოსური საზოგადოება ამ პროცესთან დაკავშირებით ხედავს.

აფხაზი რესპონდენტებისთვის კონფლიქტის ტრანსფორმაციასა და ზოგადად, ცვლილებასთან დაკავშირებული მთავარი შიში/საფრთხე ნდობის საკითხს უკავშირდება. აღინიშნა, რომ აფხაზურ საზოგადოებაში ჯერ კიდევ მყარია ქართველის როგორც მტრის სახე და არსებობს უნდობლობა ქართველების „რეალურ მიზნებთან“ დაკავშირებით.⁴⁰ მსგავსი მოსაზრებაა ოსი ექსპერტის ხედვაშიც, სადაც აღნიშნულია, რომ ოსური სამოქალაქო საზოგადოებისთვის ტრანსფორმაციაზე მუშაობა ქართული სახელმწიფოს „რბილ ძალად“ აღიქმება, რომლის საბოლოო მიზანიც სამხრეთ ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებაა. გარდა ნდობის ფაქტორისა, აფხაზმა რესპონდენტებმა შემდეგი საფრთხეებიც გამოკვეთეს: ტრანსფორმაციის პირობებში მიღწეული სავარაუდოდ შეთანხმების/დღის წესრიგის დარღვევა, აფხაზეთის დამოუკიდებლობის ეჭვის ქვეშ დაყენება, ასიმილირება/აფხაზი ერის გაქრობა და პროცესის პოლიტიზირება.

ქართველი რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა (20 რესპონდენტი) მიიჩნევს, რომ კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიმართულებით მუშაობა განსაკუთრებულ საფრთხეებთან დაკავშირებული არ არის, თუმცა ორი შესაძლო საფრთხე მაინც გასათვალისწინებელია:

1. პროცესის ცალმხრივობა - თუ ტრანსფორმაციის მიმართულებით მხოლოდ ქართული მხარე/საზოგადოება იმუშავებს, შეიძლება გაიზრდოს ასიმეტრიულობა აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებთან მიმართებით.
2. ფოკუსის ცვლილება - საერთაშორისო საზოგადოების თვალში შეიძლება რუსულ ოკუპაციაზე ყურადღება მოდუნდეს ან ამის საპასუხოდ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის ფაქტორი გაძლიერდეს, რამაც, მაგალითად, რეგიონების სრული ანექსია შეიძლება გამოიწვიოს.⁴¹

თუმცა, აღინიშნა, რომ ტრანსფორმაციული, ანუ ცვლილებაზე ორიენტირებული, პოლიტიკის გატარება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობის გარდაქმნისთვის, არამედ, სამივე საზოგადოების განვითარებისთვის.⁴² შესაბამისად, თუ ქართული საზოგადოება გააქტიურდება, შესაძლებელია, რომ ტრანსფორმაციაზე მუშაობის პროცესი უფრო მეტი რესურსისა და ყურადღების მობილიზების მიზეზი გახდეს. გარდა ამისა, ცვლილებაზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარება მნიშვნელოვანია როგორც რეალობის უკეთ შესაფასებლად (მაგალითად, იმის დასაზუსტად თუ „რაზე წავა რუსეთი“), ასევე, ადგილზე მცხოვრები ადამიანების ინტერესებისა და საჭიროებების გასათვალისწინებლად.

გარდა საფრთხეებისა, მნიშვნელოვანია ის **შემაფრხებელი ფაქტორები და გარემოებები**, რაც კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესს, სავარაუდოდ, ხელს უშლის როგორც ქართულ, ისე აფხაზურ და ოსურ საზოგადოებაში.

ქართულ საზოგადოებაში მიზნობრივი ტრანსფორმაციის ხედვისა და დღის წესრიგის შემუშავებას შემდეგი ფაქტორები აფერხებს:

1. პოლიტიკური პოლარიზაცია. როდესაც პოლარიზაციის ხარისხი მაღალია, პოზი-

⁴⁰ „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაციის პერსპექტივა - ხედვა სოხუმიდან“ (2020). პროექტის ფარგლებში შესრულებული ანალიტიკური მოკვლევა (რუსულ ენაზე).

⁴¹ ინტერვიუ #06, ინტერვიუ #09, ინტერვიუ #21.

⁴² ინტერვიუ #17, ინტერვიუ #13.

ციების გაბედულად დაფიქსირებისა და გაბედული ნაბიჯების გადადგმის სივრცე მინიმუმამდეა დაყვანილი.⁴³ გარდა ამისა, ვერ ხერხდება რესურსების სათანადოდ მობილიზება და ძირითად პრინციპებზე შეთანხმება.⁴⁴

2. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის მზარდი გავლენა, რაც რუსეთს შესაძლებლობას აძლევს დასაწყისშივე გააჩეროს ნებისმიერი პროცესი, რომელიც მისი ინტერესების მიღმა იქნება.⁴⁵
3. რესურსების სიმცირე. არ არის სათანადო ფინანსური მხარდაჭერა და მცირეა იმ ადამიანების რაოდენობა, ვისაც ტრანსფორმაციის მიმართულებით კონკრეტული ხედვა აქვთ და მუშაობა შეუძლიათ.⁴⁶

აფხაზურ და ოსურ საზოგადოებაში არსებული შემაფერხებელი ფაქტორებიდან აღსანიშნავია საზოგადოების შიგნით არსებული წინააღმდეგობა. მაგალითად, აფხაზი რესპონდენტების უმრავლესობამ (19) აღნიშნა, რომ აუცილებლად გამოჩნდებიან ინდივიდები და ინტერეს-ჯგუფები, ვინც კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე მუშაობის პროცესს გამიზნულად შეუშლიან ხელს. მათ შორის აღინიშნა პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები, კრიმინალური ჯგუფები და ხისტად განწყობილი და გავლენის მქონე ინდივიდები. ოსურ საზოგადოებაში მნიშვნელოვან სირთულეს ქმნის კონფლიქტზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის დიალოგში მონაწილეობისა და ზოგადად საქმიანობის შეზღუდვა.⁴⁷ აფხაზი რესპონდენტების ნაწილმა (11) ასევე აღნიშნა, რომ რუსეთი არ იქნება დაინტერესებული ტრანსფორმაციის იდეით.

ერთმანეთისგან განსხვავდება, მაგრამ სამივე საზოგადოებისთვის პრობლემურია რიტორიკის საკითხი. აფხაზი რესპონდენტების უმრავლესობამ (17) აღნიშნა, რომ აგრესიული რიტორიკა აფერხებს კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესს. პროპაგანდა და მტრის ხატის არსებობა ხელს უშლის ტრანსფორმაციას ისევე, როგორც ერთმანეთისთვის მიუღებელი ტერმინების გამოყენება.⁴⁸ თუმცა, განსხვავებით რიტორიკისგან, ტერმინების შეთანხმების საკითხი რთულია. ერთ-ერთი მოსაზრებით, „თუ თანხმდები ტერმინებზე, კონფლიქტსაც აგვარებ“.⁴⁹ მაგრამ, ტრანსფორმაციის პირობებში ტერმინებზე უთანხმოება არ უნდა გახდეს პროცესის ჩიხში შესვლის საბაბი, ვინაიდან იმგვარი მიდგომა, რომ „ვთანხმდებით, რომ კონკრეტულ ტერმინებზე ვერ ვთანხმდებით“, ყველა მხარისთვის გააზრებული და მისაღები იქნება.

რიტორიკის დაბალანსება ყველაზე უკეთ მთავრობას შეუძლია.⁵⁰ თუმცა რიტორიკის რადიკალურად შეცვლა რთული იქნება, რადგან პროტესტს გამოიწვევს როგორც აფხაზურ და ოსურ, ისე ქართულ საზოგადოებაში.⁵¹ ამ მხრივ მნიშვნელოვანი რესურსი სწორედ ექსპერტებს/არასამთავრობო სექტორს აქვს, რომელსაც ასევე მეტი კოორდინირებული მოქმედება და შიდა შეთანხმება სჭირდებათ.

⁴³ ინტერვიუ #15.

⁴⁴ ინტერვიუ #09, ინტერვიუ #17, ინტერვიუ #06.

⁴⁵ ინტერვიუ #13, ინტერვიუ #12.

⁴⁶ ინტერვიუ #04, ინტერვიუ #19.

⁴⁷ „კონფლიქტის ტრანსფორმაციის შესახებ - ხედვა სამხრეთი ოსეთიდან“, Op.Cit.

⁴⁸ Ibid.

⁴⁹ ინტერვიუ #14.

⁵⁰ აფხაზი რესპონდენტების პასუხი შეკითხვაზე „მგზავი ჩიგოჩიკის შეცვლის შესაძლებლობა/ხესუხსი აქვს“ - მთავრობას (17), ექსპერტებს (8), მედიას (8).

⁵¹ ინტერვიუ #07.

კონფლიქტის ტრანსფორმაციის რესურსი

გარდა თანმხლები სავარაუდო საფრთხეებისა და სირთულეებისა, რომელიც კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესს, სავარაუდოდ, შეაფერხებს, მნიშვნელოვანია გაანალიზდეს, რა რესურსთან არის დაკავშირებული ტრანსფორმაციაზე მუშაობა როგორც ქართულ, ისე აფხაზურ და ოსურ საზოგადოებაში.

კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიმართულებით სამუშაოდ მნიშვნელოვანია *მაგეჩიადუხი/ფინანსუხი* რესურსის არსებობა. აღინიშნა, რომ საქართველოში კონფლიქტების თემატიკაზე მუშაობა ძირითადად დონორებზე დამოკიდებული პროცესია, შიდა ქართული რესურსი ამაზე ნაკლებად იხარჯება.⁵² თუმცა შესაძლებელია კერძო სექტორიდან თანხების მოზიდვა და ამის გამოცდილება არსებობს.⁵³ აღსანიშნავია, რომ ევროინტეგრაციის იდეა საზოგადოების ფართო მასებისთვის მისაღები რომ გამხდარიყო, მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი გამოიყო.⁵⁴ შესაბამისად, შესაძლებელია, ტრანსფორმაციის იდეა საზოგადოების ფართო მასებისთვის გასაგები და მისაღები მიდგომა გახდეს, თუ პოლიტიკურ ელიტაში კონსენსუსი იქნება და სათანადო ფინანსური რესურსის მობილიზება მოხდება.⁵⁵

აფხაზი რესპონდენტების (20) მოსაზრებით, ტრანსფორმაციის პროცესი საერთაშორისო დონორების ფინანსური ხელშეწყობით უნდა მიმდინარეობდეს. თუმცა, პროცესში ფინანსური წვლილის შეტანა შეუძლია საქართველოს მთავრობას (11) და აფხაზეთის მთავრობას (8),⁵⁶ რადგან ტრანსფორმაციის პროცესს მთავრობის მტკიცე მხარდაჭერა სჭირდება (19). თუმცა, მთავრობის რესურსსა და ინტერესთან დაკავშირებით მოსაზრებები არაერთგვაროვანია. მაგალითად, შეკითხვაზე - „არის თუ არა აფხაზეთის მთავრობა დაინტერესებული ქართველებთან ურთიერთობის გარდაქმნით?“ - პასუხები ასე განაწილდა: ვეთანხმები (6), არ ვეთანხმები (7), არ ვიცი (10). ასევე, შეკითხვაზე „შეუძლია თუ არა აფხაზეთის მთავრობას მხარი დაუჭიროს ქართველებთან ურთიერთობის გარდაქმნას“ - შემდეგი პასუხები იქნა მიღებული: ვეთანხმები (2), არ ვეთანხმები (7), არ ვიცი (14). აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ორ შეკითხვაზე პასუხები ინფორმაციულ ვაკუუმსა და დაბნეულობაზე უფრო მეტად მიუთითებს, ვიდრე უპირობოდ ხისტ დამოკიდებულებაზე იმ კონკრეტული ადამიანების მხრიდან, ვინც კვლევაში მონაწილეობა მიიღო.

გარდა ფინანსური რესურსისა, კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე სამუშაოდ მნიშვნელოვანია *ადამიანუხი* და *მოხადუხი* რესურსის არსებობა. მნიშვნელოვანია, ორივე მხარეს აღმოჩნდნენ ადამიანები, ვინც ტრანსფორმაციის იდეასა და ამ მიზნით თანამშრომლობას ეთანხმებიან.⁵⁷ მიუხედავად განსხვავებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეში ცხოვრებისა, დიდი ადამიანური რესურსია ახალგაზრდა თაობებში და სრულიად ახალი პოლიტიკური და ინტელექტუალური კლასის დაბადებაა საჭირო.⁵⁸ გარდა ამისა, მიუხედავად კონფლიქტთან არსებული განსაკუთრებით ემოციური კავშირისა, მნიშვნელოვანი ადამიანური რესურსია ომის ვეტერანები და იძულებით გადაადგილებულ პირები, რაც არ არის სათანადოდ შესწავლილი, გაანალიზებული და გამოყენებული.⁵⁹

საინტერესოა, რომ გალისა და ახალგორის რაიონებში მცხოვრები ქართველები კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესის ხერხემლად არ არიან დანახული. თუმცა,

⁵² ინტერვიუ #14.

⁵³ ინტერვიუ #15.

⁵⁴ ინტერვიუ #20.

⁵⁵ ინტერვიუ #19.

⁵⁶ ავტორი იყენებს ტერმინებს, რომლებიც აფხაზი რესპონდენტების მიერ იქნა გაზიარებული.

⁵⁷ ინტერვიუ #20, ინტერვიუ #10, ინტერვიუ #12.

⁵⁸ ინტერვიუ #19.

⁵⁹ ინტერვიუ #15, ინტერვიუ #03.

აღნიშნულ რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებს მნიშვნელოვანი სოციალური კავშირები აქვთ და აუცილებელია მათი ჩართვა ნდობის აღდგენის პროცესში.⁶⁰ ჯერ კიდევ შეუსწავლელია შერეული ოჯახებისა და საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკურად აფხაზი და ოსი მოსახლეობის რესურსი და კავშირები, რაც ტრანსფორმაციის პროცესში წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ.⁶¹

კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის მზაობა

მნიშვნელოვანია, რომ ტრანსფორმაციის პროცესით ყველა მხარე იყოს დაინტერესებული, რადგან კონფლიქტის ტრანსფორმაცია საჭიროა როგორც ქართულ, ისე აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებში. მოსაზრებას - „ქართულ-აფხაზური უხითიერთობების გხანსფორმაცია შედის აფხაზეთის ინტეგრაციაში“ - დაეთანხმა 17, არ დაეთანხმა 3, არ ვიცი მონიშნა 3 რესპონდენტმა. კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე მუშაობა საჭიროა ოსურ საზოგადოებაშიც, თუმცა, ოსი ექსპერტის ხედვით, არც მთავრობა და არც ხალხი ამ ეტაპზე მზად არ არის ტრანსფორმაციის პროცესისთვის.⁶²

მზადყოფნასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი შეფასებაა ქართულ საზოგადოებაშიც. აღნიშნა, რომ ტრანსფორმაციის პროცესის დასაწყებად პოლიტიკური ნების გამოვლენაა საჭირო, რასაც პოლიტიკურ ძალებს შორის კომპრომისის მიღწევა სჭირდება, ასევე, გააზრება იმისა, რომ გარკვეულ დათმობებზე წასვლა აუცილებელია.⁶³ თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ საზოგადოების ფართო მასების მხარდაჭერის გარეშე პოლიტიკური ელიტა ცვლილებებს ვერ განახორციელებს.⁶⁴

კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიმართულებით სამუშაოდ მნიშვნელოვანია კომუნიკაციის დივერსიფიცირებული არხებისა და გზავნილების სწორად მიტანის შესაძლებლობის გაჩენა. შედეგად, საზოგადოებები დაინახავენ, რომ შეიძლება ისეთი ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული და სხვა სახის პროექტები განხორციელდეს, რომლებიც ყველა მხარის ინტერესებში შედის.⁶⁵ მიუხედავად იმისა, თუ რამდენად არის მზად ქართული, აფხაზური ან ოსური საზოგადოება ტრანსფორმაციაზე სიღრმისეულად სამუშაოდ, აღსანიშნავია, რომ მოლოდინი ტრანსფორმაციის პროცესთან მიმართებით დადებითია. ერთ-ერთი ქართველი ექსპერტის შეფასებით, „თუ გხანსფორმაციის გზით მივდივართ, ვაუმჯობესებთ უხითიერთობებსა და საზოგადოებების ცხოვრებას.“⁶⁶ გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ აფხაზი რესპონდენტების უმრავლესობა დადებით კავშირს ხედავს ქართულ-აფხაზური ურთიერთობის უკეთესობისკენ შეცვლასა და აფხაზების ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებული პრობლემების შემსუბუქებას შორის.⁶⁷ ასევე, კონფლიქტის ტრანსფორმაცია აფხაზი რესპონდენტებისთვის დაკავშირებულია უკეთეს კომუნიკაციასთან, ურთერთგაგებისა და თანამშრომლობის გაზრდასთან, აგრესიული და მტრული დამოკიდებულების შემცირებასთან და სხვა ისეთ საკითხებთან, რაც აფხაზური საზოგადოების შიდა განვითარებისთვის არის საჭირო.⁶⁸

⁶⁰ ინტერვიუ #04, ინტერვიუ #09, ინტერვიუ #19, ინტერვიუ #06.

⁶¹ დისკუსია ქ. ზუგდიდში, 19 ივლისი, 2019 და ქ. გორში, 23 ივლისი, 2019.

⁶² „კონფლიქტის ტრანსფორმაციის შესახებ - ხედვა სამხრეთი ოსეთიდან“, Op.Cit.

⁶³ ინტერვიუ #01, ინტერვიუ #19, ინტერვიუ #14, ინტერვიუ #04, ინტერვიუ #17,

⁶⁴ ინტერვიუ #04, ინტერვიუ #07.

⁶⁵ ინტერვიუ #19, ინტერვიუ #02.

⁶⁶ ინტერვიუ #20.

⁶⁷ 23-დან 21-მა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ თუ ქართულ-აფხაზური ურთიერთობები გაუმჯობესდება, მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებული გამოწვევების ნაწილი შემცირდება.

⁶⁸ დამატებითი ინფორმაციისთვის, კონფლიქტის ტრანსფორმაციასთან დაკავშირებით რა მოლოდინები აქვთ აფხაზურ საზოგადოებაში, იხილეთ დანართი #2, ცხრილი.

კონფლიქტის ტრანსფორმაციისკენ საწყისი ნაბიჯების განსაზღვრა

კონფლიქტის მიზნობრივი ტრანსფორმაციისთვის მნიშვნელოვანია, განისაზღვროს **საწყისი ნაბიჯები**, რომლებიც ტრანსფორმაციის პროცესის გააქტიურების შესაძლებლობას მოგვცემს.

ერთ-ერთი პირველი საკითხი კონფლიქტის ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული ხედვის ჩამოყალიბებაა. კერძოდ, სამივე საზოგადოება შიგნით და ერთმანეთთან უნდა შეთანხმდეს, რა არის პროცესის მიზანი, ვინ (ინდივიდი/ჯგუფი/ინსტიტუტი) უნდა ჩაერთოს პროცესში, რა კონკრეტული როლითა და პრინციპებით უნდა იხელმძღვანელოს.

ქვემოთმოყვანილი საკითხები არის არასრული ჩამონათვალი იმ ნაბიჯებისა, რაც კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა და რომლებიც ქართულმა საზოგადოებამ უნდა გადადგას ცვლილებების მისაღწევად ინდივიდუალურ, ურთიერთობით და სტრუქტურულ დონეზე.

ინდივიდების დონეზე ცვლილების მისაღწევად *საინფორმაციო ვედის, დისკუსიისა* და, შედეგად, კონფლიქტის *მეოხე მხახის მიმახი დამოკიდებულების* ცვლილებაა საჭირო, რომელიც შემდეგი ნაბიჯების გადადგმით შეიძლება დაიწყოს:

1. წარსულის (1990-იანი წლების დასაწყისის) კვლევა/ანალიზი/შეფასება, როგორც პოლიტიკური, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით.
2. კონფლიქტებთან დაკავშირებით ზოგადი და უმაღლესი განათლების მიდგომების კვლევა/ანალიზი და შეფასება.
3. კონფლიქტებთან დაკავშირებით საზოგადოების ფართო მასების განწყობების/ინფორმირებულობის დონის კვლევა/ანალიზი.
4. კონფლიქტებთან დაკავშირებით ინტერეს-ჯგუფების (დევნილები, ომის ვეტერანები, შერეული ოჯახები, ეთნიკურად აფხაზი და ოსი ადამიანები) იდენტიფიცირება, მათი ინტერესის და რესურსის კვლევა/ანალიზი/გათვალისწინება.
5. კონფლიქტებთან დაკავშირებით საინფორმაციო (წამყვანი/კრიტიკული მედია) ველის კვლევა/ანალიზი/შეფასება/გათვალისწინება.

ურთიერთობით დონეზე ცვლილების მისაღწევად საჭიროა შეიცვალოს *განსახიფველი საკითხები, მხახეების ქცევა და პოზიციები*, რომელიც შემდეგი ნაბიჯების გადადგმით შეიძლება დაიწყოს:

1. აფხაზურ და ოსურ მხარეებთან პირდაპირი დიალოგის არხების დივერსიფიცირება.
2. აფხაზურ და ოსურ მხარეებთან სტატუს-ნეიტრალურობის საკითხზე შეთანხმება.
3. აფხაზური და ოსური მხარეების კონფლიქტის მხარედ აღიარება.
4. აფხაზური და ოსური საზოგადოებების საჭიროებების კვლევა/ანალიზი/გათვალისწინება.
5. დიალოგის არსებულ ფორმატებში კონფლიქტის ტრანსფორმაციის ხედვის/პრინციპების/დღის წესრიგის ირგვლივ დისკუსია და მუშაობის პროცესში გათვალისწინება.

სტრუქტურული ცვლილებების მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ გადაიხედოს *ახსებური სტრატეგია* და *პრინციპები*, რომლებსაც ეფუძნება კონფლიქტების მოგვარებისა და მშვიდობის მშენებლობის პროგრამები და რაც შემდეგი ნაბიჯების გადადგმით შეიძლება დაიწყოს:

1. შიდა პოლიტიკური დიალოგის ორგანიზება სამთავრობო და ოპოზიციურ პარტიებს/პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებს შორის კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიზნებსა და დღის წესრიგზე.
2. კონფლიქტების დარეგულირებასთან დაკავშირებული სახელმწიფო ინსტიტუტების მანდატის, რესურსისა და კოორდინაციის საკითხის ანალიზი და შეფასება.

3. პარტიულ პროგრამებში კონფლიქტების ტრანსფორმაციის შესახებ ხედვისა და მიდგომების ინტეგრირება.
4. საზოგადოების შიგნით ინტერეს-ჯგუფების/გავლენის მქონე დამიანების იდენტიფიცირება, ვინც კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიზნებსა და დღის წესრიგს იზიარებს.
5. არასამთავრობო და საექსპერტო საზოგადოების კონსოლიდაცია კონფლიქტის ტრანსფორმაციის ხედვის/პრინციპებისა და დღის წესრიგის განსასაზღვრად.
6. რუსეთში მიმდინარე პროცესების კვლევა/ანალიზი და გათვალისწინება.

აფხაზურ და ოსურ საზოგადოებაში შედარებით შეზღუდული შესაძლებლობაა ტრანსფორმაციაზე სამუშაოდ. ეს საკითხი განსაკუთრებით გართულებულია ოსურ საზოგადოებაში, სადაც როგორც ადგილობრივი არასამთავრობო, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა უკიდურესად შეზღუდულია. შესაბამისად, რთულია გამოიკვეთოს ის ინდივიდები/ჯგუფები, ვინც კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე მუშაობას შეძლებს. თუმცა, ტრანსფორმაციისთვის მნიშვნელოვანია მეტ-ნაკლებად სიმეტრიულ ურთიერთდამოკიდებულებაში გადასვლა და ოსების კონფლიქტის მხარედ აღიარება.⁶⁹ ასევე, ინდივიდების აღქმებისა და დამოკიდებულების ცვლილება, რაც დისკურსის ცვლილებასაც შეუწყობს ხელს.⁷⁰

რაც შეეხება აფხაზურ საზოგადოებას, აღინიშნა, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია სამოქალაქო საზოგადოებას⁷¹ და პროცესის დასაწყებად აუცილებელია კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიზნების, პრინციპებისა და გარანტიების წინასწარ შეთანხმება.⁷² გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, აფხაზურ საზოგადოებაში დაიწყოს დისკუსია ქართულ-აფხაზური ურთიერთობის გარდაქმნის მიზანშეწონილობის თაობაზე⁷³ და ქართულ მხარესთან მიმართებით მტრული რიტორიკა შეიცვალოს.⁷⁴ ეს იმიტომ, რომ საზოგადოების შიგნით მუშაობის გარეშე, რომელიც ინდივიდების აღქმებისა და დამოკიდებულებების ცვლილებაზე იქნება ორიენტირებული, რთულია ტრანსფორმაციის მიღწევა.⁷⁵ გარდა ამისა, აფხაზების კონფლიქტის მხარედ აღიარება და პირდაპირი დიალოგი ქართველებთან მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კონფლიქტის ტრანსფორმაციას.⁷⁶

კონფლიქტის ტრანსფორმაციის პრაქტიკაში დასაწერად კიდევ ორი საკითხია მნიშვნელოვანი: ვინ (*ხომედი მხაჩე*) უნდა იყოს *პხოცესის ინიციატორი* და *ხოგოხ* (*ხა ფოხ-მით*) უნდა დაიწყოს *მეოხე მხაჩესთან იდეის განხილვა*.

კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიმართულებით მუშაობის ინიციატივა ქართულმა საზოგადოებამ უნდა აიღოს და გაცნობიერებული ჰქონდეს, რომ ტრანსფორმაციაზე მუშაობის პროცესი ასიმეტრიული იქნება.⁷⁷ პროცესის საწყის ეტაპზე მაინც აფხაზური და ოსური საზოგადოებისგან შემხვედრი ნაბიჯების ნაკლებობა იქნება. რაც შეეხება საზოგადოების შიგნით დისკუსიას, ქართული მხარის შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან რესურსს მთავრობა ფლობს, რომელმაც არასამთავრობო/საექსპერტო საზოგადოე-

⁶⁹ “კონფლიქტის ტრანსფორმაციის შესახებ - ხედვა სამხრეთი ოსეთიდან”, Op.Cit.

⁷⁰ Ibid.

⁷¹ ტრანსფორმაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოება აქტიურად უნდა ჩაერთოს - ვეთანხმები (21), არ ვეთანხმები (0), არ ვიცი (2).

⁷² სჭირდება წინასწარ შეთანხმება - 15 რესპონდენტი, არ სჭირდება წინასწარ შეთანხმება - 8 რესპონდენტი

⁷³ „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაციის პერსპექტივა - ხედვა სოხუმიდან“, Op.Cit.

⁷⁴ კონფლიქტის ტრანსფორმაციის შედეგად მტრული რიტორიკა შეიცვლება - ვეთანხმები (17), არ ვეთანხმები (2), არ ვიცი (4).

⁷⁵ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაციის პერსპექტივა - ხედვა სოხუმიდან“, Op.Cit.

⁷⁶ Ibid.

⁷⁷ ინტერვიუ #8, ინტერვიუ #17, ინტერვიუ #03.

ბასთან ერთად უნდა შეიმუშავოს კონფლიქტის ტრანსფორმაციის ხედვა, პრინციპები და დღის წესრიგი, განიხილოს და შეათანხმოს პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებთან. აღსანიშნავია, რომ ქართულ საზოგადოებაში მნიშვნელოვანია მედიისა და ეკლესიის როლისა და ჩართულობის განსაზღვრაც, რადგან, როგორც მედია, ისე ეკლესია მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივი აზრისა და ღირებულებითი სისტემის ფორმირებაში.⁷⁸

აფხაზი რესპონდენტების მოსაზრებით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტისა და ურთიერთიერთობის ტრანსფორმაციის შესახებ საზოგადოების შიგნით დისკუსიის წამოწყება ექსპერტებსა და მთავრობას შეუძლიათ⁷⁹ მაშინ, როცა ოსურ საზოგადოებაში მეტი რესურსი ბიზნესის, კულტურისა და მედიის წარმომადგენლებს აქვთ.⁸⁰

ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონტექსტში კონფლიქტის ტრანსფორმაციის იდეის განსახილველად დღესდღეობით ორი შესაძლო ფორმატია: პირდაპირი დიალოგი და ჟენევის საერთაშორისო დისკუსია. თუმცა, ორივე ფორმატი პრობლემურია.

ქართველი რესპონდენტები ეთანხმებიან, რომ საჭიროა პირდაპირი დიალოგი როგორც ოფიციალურ, ისე არაოფიციალურ დონეზე. თუმცა, დასაწყისისთვის ოფიციალური დიალოგი არა ღია/საჯარო ფორმით უნდა იყოს. დიალოგის ღია, პირდაპირი და ოფიციალური ფორმატი წნეხი იქნება წარმომადგენლებისთვის, განსაკუთრებით საზოგადოების შიგნით არსებული ინტერეს-ჯგუფებისა და, შესაბამისად, ამ ჯგუფების მოლოდინებისა და შიშების გათვალისწინებით.⁸¹ აფხაზი რესპონდენტების მოსაზრებით, დიალოგი აუცილებლად უნდა იყოს პირდაპირი და შესაბამისი უწყებები/ინსტიტუტები ან მანდატის მქონე პირები უნდა ჩაერთონ.⁸²

რაც შეეხება ჟენევის დისკუსიის ფორმატს, აღინიშნა, რომ მას არ აქვს სათანადო მოქნილობა ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად.⁸³ მაგალითად, ოსი ექსპერტის შეფასებით, ჟენევის ფარგლებში თავს იყრის რამდენიმე კონფლიქტი, შესაბამისად, აღქმა, თუ რა როლი და რესურსი აქვს ჟენევის ფორმატს, ერთმანეთისგან განსხვავდება.⁸⁴ გამომდინარე აქედან, ჟენევაში ურთიერთგამომრიცხავი ინტერესები და პოზიციები იყრის თავს, შედეგად კი კომპრომისისთვის სივრცე შეზღუდულია.⁸⁵ გარდა ამისა, აღინიშნა, რომ ჟენევის დისკუსიების დღის წესრიგი არ განისაზღვრება არც ქართული და არც აფხაზური და ოსური მხარეების მიერ.⁸⁶

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც კონფლიქტის ტრანსფორმაციის პრაქტიკაში დანერგვას საჭიროებს, მედიაგოიის გამოვლენაა. გამომდინარე იქედან, რომ კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი ადამიანური და მატერიალური რესურსის მობილიზება, მედიატორის არსებობა არ არის პროცესის ხერხემალი. თუმცა, ყველა ის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აფხაზეთში მუშაობს, მნიშვნელოვანი რესურსია ადგილობრივ დონეზე ტრანსფორმაციის ხელშესაწყობად. აღსანიშნავია, ევროკავშირის როლი, რომელსაც, ქართველი რესპონდენტების ხედვით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რესურსი აქვს შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარებისა და რუსეთის უარყოფითი გავლენის დასაბალანსებლად.⁸⁷

⁷⁸ ინტერვიუ #19.

⁷⁹ „ვინ უნდა წამოიწყოს საზოგადოებაში დისკუსია ქართულ-აფხაზური ურთიერთობის გარდაქმნის/ტრანსფორმაციის საჭიროებაზე?“ - ექსპერტებმა (11), მთავრობამ (10), ინტერეს-ჯგუფებმა (6), მედიამ (3).

⁸⁰ „კონფლიქტის ტრანსფორმაციის შესახებ - ხედვა სამხრეთი ოსეთიდან“, Op.Cit.

⁸¹ ინტერვიუ #14, ინტერვიუ #13, ინტერვიუ #09, ინტერვიუ #06, ინტერვიუ #12.

⁸² „რა დონეზე უნდა დაიწყოს მხარეებს შორის პირდაპირი კონსულტაციები?“ - შესაბამისი უწყებები/ინსტიტუტები (11), შესაბამისი მანდატის მქონე პირები (10), პირველი პირები (8).

⁸³ ინტერვიუ #04, ინტერვიუ #07, ინტერვიუ #13, ინტერვიუ #15, ინტერვიუ #17.

⁸⁴ „კონფლიქტის ტრანსფორმაციის შესახებ - ხედვა სამხრეთი ოსეთიდან“, Op.Cit.

⁸⁵ Ibid.

⁸⁶ ინტერვიუ #09

⁸⁷ ინტერვიუ #07, ინტერვიუ #09, ინტერვიუ #13, ინტერვიუ #15.

კვლევის შეჯამება და რეკომენდაციები

მიუხედავად იმისა, რამდენად თანხმდება ქართული, აფხაზური და ოსური საზოგადოება კონფლიქტის წარმოშობის მიზეზებზე, ფაქტია, რომ კონფლიქტმა სამივე საზოგადოება დააზარალა, ხალხი ერთმანეთს დააშორა და ღირებულებათა განსხვავებულ სისტემებში მოაქცია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სამივე საზოგადოებაში გაჩნდეს ერთმანეთთან საუბრის ინტერესი და საჭიროება, მოხერხდეს სტატუსთან დაკავშირებული და პოლიტიკურად მგრძობიარე საკითხების დროებით გვერდზე გადადება და ადამიანის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის პრიორიტეტად ქცევა.

კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე მუშაობა ხანგრძლივი და კომპლექსური პროცესია, რომელიც მიზნობრივ, კოორდინირებულ და რესურსებით გამყარებულ საქმიანობას საჭიროებს. ტრანსფორმაციის მიმართულებით მნიშვნელოვანი სამუშაოა ჩასატარებელი როგორც ქართულ, ისე აფხაზურ და ოსურ საზოგადოებაში, რათა მომნიჭდეს აზრი, რომ კონფრონტაციულ მენტალიტეტში ყოფნას მხოლოდ ზარალი მოაქვს და ზღუდავს განვითარების შესაძლებლობას.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ცვლილება აუცილებელია რეალობის უკეთ აღსაქმელად, ნდობის აღდგენისა და საზოგადოების განვითარებისთვის. ასევე ცხადი გახდა, რომ ცვლილების გარეშე არათუ პროგრესის მიღწევა, არამედ არსებული მდგომარეობის შენარჩუნებაც ეჭვის ქვეშ დადგება. მიუხედავად იმისა, რომ ტრანსფორმაციაზე მუშაობა გამომწვევებთან არის დაკავშირებული, კვლევამ ცხადყო, რომ მოლოდინი ტრანსფორმირებულ კონფლიქტთან მიმართებით დადებითია. შესაბამისად, სივრცე ტრანსფორმაციაზე სამუშაოდ არსებობს და საჭიროა რეაქტიულიდან პროაქტიულ პოლიტიკაზე გადასვლა, რომელიც არსებულ გამომწვევებთან გამკლავების პარალელურად, ხანგრძლივადიან განვითარებასა და შერიგებაზე ორიენტირებულ ხედვას შექმნის და გასცდება კონფლიქტების პოლიტიკური თვალსაზრისით მოგვარების საკითხს.

კონფლიქტის მიზნობრივი ტრანსფორმაციის მიმართულებით საქმიანობის გასააქტიურებლად, შემდეგი რეკომენდაციები შემუშავდა:

რეკომენდაციები საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს

1. საქართველოს მთავრობამ უნდა დაიწყოს შიდა პოლიტიკური დიალოგი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან კონფლიქტის ტრანსფორმაციის შესახებ ხედვის/პრინციპებისა და სტრატეგიის შესამუშავებლად;
2. საქართველოს მთავრობამ უნდა გამიჯნოს რუსულ-ქართული კონფლიქტის/დეოკუპაციის მიმართულებით მუშაობა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების და ურთიერთობების ტრანსფორმაციისგან;
3. საქართველოს მთავრობამ უნდა იზრუნოს რუსეთთან დიალოგის (აბაშიძე-კარასინის) ფორმატში კონფლიქტების ტრანსფორმაციის ხელშეწყობისთვის საჭირო საკითხების ინტეგრირებაზე;
4. საქართველოს მთავრობამ უნდა იზრუნოს აფხაზებსა და ოსებთან პირდაპირი დიალოგის ფორმატების შექმნაზე;
5. საქართველოს მთავრობამ უნდა გააძლიეროს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მანდატი და, ასევე, მისცეს რუსურსი პროგრამული აქტივობების გასაფართოვებლად;
6. საქართველოს მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდებში ტოლერანტული და შერიგებაზე ორიენტირებული ცნობიერების ფორმირებას, მათ შორის ზოგად და

- უმალეს განათლებაში კონფლიქტ-სენსტიური სწავლების დანერგვით;
7. საქართველოს მთავრობამ უნდა იზრუნოს საზოგადოებრივი მაუწყებლისა და სოციალური ქსელების გამოყენებით კონფლიქტების ტრანსფორმაციასა და შერიგებაზე ორიენტირებული გზავნილების გავრცელებაზე;
 8. საქართველოს მთავრობამ უნდა გაააქტიუროს თანამშრომლობა არასამთავრობო სექტორთან კონფლიქტის ტრანსფორმაციის ხედვის/პრინციპების და სტრატეგიის შემუშავების მიზნით;
 9. საქართველოს მთავრობამ უნდა გააძლიეროს მუშაობა მუნიციპალიტეტებთან, განსაკუთრებით კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში, ტრანსფორმაციის პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის რესურსის უკეთ გამოსაკვლევად და გასათვალისწინებლად;
 10. საქართველოს პარლამენტის დროებითმა კომისიამ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის მიმართულებით უნდა გადახედოს სამუშაო პრიორიტეტებს და შეითავსოს კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიმართულებით განსახორციელებელი საქმიანობის გარკვეული ასპექტები;
 11. საქართველოს პარლამენტის კომისიამ დიასპორისა და კავკასიის საკითხებში უნდა შეითავსოს აფხაზურ და ოსურ დიასპორებთან მუშაობა, აგრეთვე იმ ქართულ დიასპორასთან, რომელიც ცხოვრობს ჩრდილოეთ კავკასიასა და თურქეთში და აქვს აფხაზებსა და ოსებთან კომუნიკაციის შესაძლებლობა;
 12. საქართველოს სსიპ „საქართველოს პარლამენტის კლევით ცენტრმა“ უნდა გააძლიეროს კონფლიქტის ტრანსფორმაციის, საზოგადოებაში მშვიდობის მშენებლობის რესურსისა და შესაძლებლობების კვლევა.

რეკომენდაციები საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს:

1. არასამთავრობო/საექსპერტო საზოგადოებამ უნდა ჩამოაყალიბოს კონსოლიდირებული ხედვა ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონტექსტში კონფლიქტის ტრანსფორმაციასთან მიმართებით;
2. არასამთავრობო/საექსპერტო საზოგადოებამ უნდა შექმნას [დროებითი] ქსელი/კოალიცია კონფლიქტის ტრანსფორმაციის ხედვის/პრინციპებისა და სტრატეგიის განსასაზღვრად.
3. არასამთავრობო/საექსპერტო საზოგადოებამ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს მედიასაშუალებებთან, კოორდინირებულად გამოეხმაუროს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენებს, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების სათანადოდ ინფორმირებასა და აგრესიული რიტორიკის შესუსტებას;
4. არასამთავრობო/საექსპერტო საზოგადოებამ, რომელიც ნდობის აღდგენისა და მშვიდობის მშენებლობის პროგრამებშია ჩართული, მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს დევნილთა პრობლემატიკაზე მომუშავე ორგანიზაციებთან, კონფლიქტის ტრანსფორმაციის ხელშეწყობის მიზნით დევნილი მოსახლეობის რესურსის უკეთ გამოსაყენებლად;

რეკომენდაციები ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებს:

1. კონფლიქტების დარეგულირებისა და ნდობის აღდგენის მიმართულებით მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ საქართველოს

მთავრობასთან, უფრო მეტი ფინანსური და ადამიანური რესურსის მიწოდებით დაეხმარონ კონფლიქტის ტრანსფორმაციის ხედვის/პრინციპებისა და სტრატეგიის ფორმირებასა და აფხაზურ და ოსურ მხარესთან ლობირებაში;

2. საერთაშორისო და რეგიონულმა დონორმა ორგანიზაციებმა, თავიანთ სტრატეგიულ მიზნებში უნდა შეიტანონ კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიმართულებით მუშაობა. შესაბამისად, დააფინანსონ, როგორც საზოგადოების შიგნით განსახორციელებელი, ისე პროფესიულ და ინტერეს-ჯგუფებს შორის მიმდინარე აქტივობები, რომლებიც პირდაპირ და ირიბად შეუწყობს ხელს კონფლიქტის ტრანსფორმაციას;
3. ევროკავშირი უფრო ინტენსიურად უნდა ჩაერთოს კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში, მათ შორის ხელი შეუწყოს ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის დიალოგის/კომუნიკაციის არხების დივერსიფიცირებას და უფრო აქტიური კომუნიკაცია იქონიოს რუსეთთან შესაძლო შეფერხება/ჩარევის გასაწესებლად.

დანართი 1

ინფორმაცია ქართველი და აფხაზი რესპონდენტებისა და ექსპერტების შესახებ

ქართველი რესპონდენტები

ჩატარდა 21 სიღრმისეული/ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ.

გენდერული განაწილება: 6 ქალი, 15 კაცი.

1. ინტერვიუ #01, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, 30/09/19.
2. ინტერვიუ #02, საქართველოს პარლამენტი, ფრაქცია „ქართული ოცნება“, 02/10/2019.
3. ინტერვიუ #03, აფხაზეთის მთავრობა, 02/10/2019.
4. ინტერვიუ #04, ექსპერტი, ყოფილი მინისტრი, 07/10/2019.
5. ინტერვიუ #05, პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი, 08/10/2019.
6. ინტერვიუ #06, საქართველოს პარლამენტი, ფრაქცია „ქართული ოცნება“, 10/10/2019.
7. ინტერვიუ #07, პროფესორი, GIPA, 11/10/2019.
8. ინტერვიუ #08, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 16/10/2019.
9. ინტერვიუ #09, საქართველოს პარლამენტი, ფრაქცია „ევროპული საქართველო“, 17/10/2019.
10. ინტერვიუ #10, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 18/10/2019.
11. ინტერვიუ #11, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, 28/10/2019.
12. ინტერვიუ #12, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, 30/10/2019.
13. ინტერვიუ #13, ლექტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 30/10/2019.
14. ინტერვიუ #14, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 31/10/2019.
15. ინტერვიუ #15, ექსპერტი, ყოფილი მინისტრი 05/11/2019.
16. ინტერვიუ #16, პარტია „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“, 08/11/2019.
17. ინტერვიუ #17, ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია, 15/11/2019.
18. ინტერვიუ #18, ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია, 25/11/2019.
19. ინტერვიუ #19, ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია, 25/11/2019.
20. ინტერვიუ #20, ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია, 27/11/2019.
21. ინტერვიუ #21, საქართველოს პარლამენტი, ფრაქცია „ევროპული საქართველო“, 21/02/2020.

აფხაზი რესპონდენტების გამოკითხვა

23 რესპონდენტმა შეავსო სტრუქტურირებული კითხვარი.

გენდერული განაწილება: ქალი (11), კაცი (11), არ იყო მითითებული (1).

ეთნიკური განაწილება: აფხაზი (16), ქართველი (4), სომეხი (3).

რაიონული განაწილება: სოხუმი (11), ოჩამჩირე (6), გალი (4), გაგრა (1), გულრიფში (1).

პროფესიული განაწილება: არასამთავრობო ორგანიზაცია (4), პოლიტიკა (3), პედაგოგი (3), ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენელი (2), სხვა (12).

ასაკობრივი განაწილება: 18-30 (4), 30-50 (10), 50+ (7), არ იყო მითითებული (2).

ვიდეოკონფერენცია

ქართული მხრიდან მონაწილეობდა 5 ექსპერტი/არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი - 3 ქალი, 2 კაცი

აფხაზური მხრიდან მონაწილეობდა 3 ექსპერტი/ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი - 2 ქალი, 1 კაცი.

ანალიტიკური მოკვლევა

აფხაზური მხრიდან 1 ექსპერტი (ქალი); სამხრეთოსური მხრიდან 1 ექსპერტი (ქალი)

დანართი 2

ცხრილი - აფხაზი რესპონდენტების მოლოდინი ტრანსფორმაციის პროცესთან მიმართებით

(პასუხები სტრუქტურირებულ კითხვარში მოყვანილ სავარაუდო მოლოდინებზე)

რესპონდენტთა სრული რაოდენობა - 23

მოლოდინი/მოსაზრება	ვეთანხმები	არ ვეთანხმები	არ ვიცი
კონფლიქტის ტრანსფორმაცია ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის ურთიერთობას/კომუნიკაციას გააზიარებს.	20	1	2
კონფლიქტის ტრანსფორმაციის შედეგად ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის მტრობა და სიძულვილი შემცირდება.	20	2	1
კონფლიქტის ტრანსფორმაციის შედეგად მხარეებს შორის ურთიერთგაგება და თანამშრომლობა გაიზრდება.	22	1	-
კონფლიქტის ტრანსფორმაცია შესაძლებლობას შექმნის უსაფრთხო და თავისუფალი გადაადგილებისთვის, გარემოს დაცვითი პროექტების თაობაზე სათანამშრომლოდ, სასაზღვრო ვაჭრობის დასარეგულირებლად, ჰუმანიტარული საკითხების გადასაჭრელად, ტურისტული ბიზნესის კოორდინირებისთვის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განსავითარებლად.	19	2	2
კონფლიქტის ტრანსფორმაცია ხელს შეუწყობს აფხაზეთის ეკონომიკის ცალკეული სექტორების გამოცოცხლებას.	20	-	3
კონფლიქტის ტრანსფორმაცია ხელსაყრელ პირობებს შექმნის სამშვიდობო ინიციატივების სრულყოფილი განხორციელებისთვის.	22	-	1
კონფლიქტის ტრანსფორმაციის პირობებში ცეცხლის განუახლებლობის გარანტიების შექმნა შესაძლებელი იქნება.	14	2	7
კონფლიქტის ტრანსფორმაცია ხელს შეუწყობს აფხაზეთის დეიზოლაციის შესახებ შეთანხმების მიღწევას და მოსახლეობას გარესამყაროსთან წვდომას გაუმარტივებს.	16	1	6
კონფლიქტის ტრანსფორმაცია საქმეს შეუმსუბუქებს დონორ ორგანიზაციებს ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკის განვითარების, ზოგადად ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ნორმალიზაციის მიმართულებით.	20	2	1
ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების პლატფორმა კონფლიქტის ტრანსფორმაციის ახალ დღის წესრიგს ეტაპობრივად გამოიყენებს	10	2	11
კონფლიქტის ტრანსფორმაციის პირობებში აფხაზური საზოგადოება დაინტერესებულია ქართულ-აფხაზური ურთიერთობების გაუმჯობესებით.	14	4	5
აფხაზური საზოგადოებას აქვს ადამიანური და სხვა შიდა რესურსები კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიმართულებით სამუშაოდ.	5	10	8
ქართულ-აფხაზური ურთიერთობების გარდაქმნა შესაძლებელია, მიუხედავად არსებული (გეო)პოლიტიკური წინააღმდეგობებისა.	16	6	1